დასკვნა:**დ10. 3723328001**
თარიღი:**24/11/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-მ განიხილა ოზურგეთი მუნიციპალიტეტის 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი და დადგინა :

1. საბიუჯეტო განაცხადის პროექტი, როგორც მუნიციპალიტეტის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მთავარი ფინანსური დოკუმენტი, წინა პერიოდთან შედარებით მაქსიმალურად არის ორიენტირებული ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვისობრივად განსხვავებული მაღალი ხარისხის მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე.

2. მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად მუნიციპალიტეტის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ზრდა უფრო მეტია ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით,ვიდრე ეს არის დადგენილი ქვეყნის მაშტაბით.

3. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული განსახორციელებული პრიორიტეტების პროგრამები,ქვეპროგრამები სრულად ითვალისწინებს პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წინასაარჩევნო დაპირებების უპირობოდ შესრულების უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრები ,კიდევ ერთხელ ადასტურებს მოქმედი მერისა და მისი გუნდის მზაობას ამომრჩევლებისათვის მიცემული დაპირებების დროულად და ხარისხიანად შესრულების უზრუნველყოფას.

4. ბიუჯეტის პროექტთან მიმართებით საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიების მიერ დაფიქსირებული შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები ლეგიტიმურია და შესაბამისად მერის მიერ უთუოდ იმსახურებს გათვალისწინებას მუნიციპალიტეტის საქმიანობის კონკრეტული პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისიწინებით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-ფრაქციის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი